

# კომპანიის მოკლე რეზიუმე

კომპანია „აკუსტიკო“ დაარსდა 2014 წელს. ეს იყო პერიოდი, როდესაც საქართველოში არ არსებობდა აკუსტიკის სფეროში სპეციალიზირებული კომპანია. დაარსებამდე და დაარსების პირველივე დღიდან კომპანიის დამფუძნებლების და მთლიანი გუნდის მიზანი იყო მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა ქვეყნის მასშტაბით აკუსტიკის სფეროს განვითარებაში.

მიღწეული შედეგების გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომპანია განვითარების სწორ გზაზე დგას, Akustiko ლიდერია ადგილობრივ ბაზარზე და ღირსეულ კონკურენციას უწევს მეზობელი ქვეყნების წარმომადგენელ აკუსტიკურ კომპანიებს.

კომპანიის წამყვანი სპეციალისტები მუდმივად მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში ხმის იზოლაციის და შიდა აკუსტიკის მიმართულებით. კომპანია ასევე იყო არაერთი აკუსტიკის კონფერენციის თუ ტრენინგების ორგანიზატორი და მასპინძელი. საპროექტო გუნდს გააჩნია სრული კომპეტენცია აღნიშნულ დარგში და რაც მთავარია საკმაოდ დიდი პრაქტიკული გამოცდილება. კომპანიის წარმატებას განაპირობებს ის, რომ ამ ხნის მანძილზე გუნდმა დამოუკიდებლად გაართვა თავი რთულ და საპასუხისმგებლო პროექტებს, არასოდეს იყო მიჯაჭვული სხვა ქვეყნის აკუსტიკურ საპროექტო კომპანიებზე და მათ რესურსებზე, რაც როგორც წესი სხვა კომპანიების შემთხვევაში აისახება მომსახურების ხარისხზე, ფასზე და ვადებზე.

## საქმიანობა / სერვისები:

- სათავსოს შიდა აკუსტიკური დიზაინი, აკუსტიკური აზომვითი სამუშაოები, აკუსტიკური პროექტირება და კონსულტაცია;
- სათავსოში სივრცეებს შორის ხმის იზოლაცია, ხმის იზოლაციის აზომვითი სამუშაოები, პროექტირება და კონსულტაცია;
- ტექნიკური მოწყობილობების ვიბროიზოლაცია, პროექტირება და ვიბროსაიზოლაციო სამუშაოები;
- გარე ხმაურის იზოლაცია, ხმაურის აზომვითი სამუშაოები და კვლევები, პროექტირება და კონსულტაცია;
- პროფესიული სივრცეების აკუსტიკური 3D მოდელირება და დიზაინი, აკუსტიკური აზომვითი სამუშაოები, პროექტირება და კონსულტაცია;
- პროფესიული განმოვანების სისტემები, ფონური (BGM) და საევაკუაციო განმოვანების სისტემები, საკონფერენციო სისტემები, შოუ განათების სისტემა და სასცენო მექანიზაცია - პროექტირება და სისტემური ინტეგრაცია/სამონტაჟო სამუშაოები;




## სექტორები:

- ✓ განათლება;
- ✓ ჯანდაცვა;
- ✓ საოფისე სივრცეები;
- ✓ HORECA;
- ✓ საკონფერენციო დარბაზები;
- ✓ საკონცერტო დარბაზები, თეატრები, სტუდიები და სხვა პროფესიული სივრცეები;
- ✓ შიდა და გარე ტექნიკური ხმაური (ჩილერები, გენერატორები და სხვა);
- ✓ სხვა საზოგადოებრივი და კერძო სივრცეები, სადაც აკუსტიკის, ხმაურის და ვიბრაციის პრობლემა შეიძლება იყოს აქტუალური;

## პროექტირების ტექნოლოგია, პროგრამული უზრუნველყოფა და აკუსტიკური ხელსაწყო:


კომპანია „აკუსტიკო“ გადავარობთ სრულ საპროექტო მომსახურებას შემდეგი მიმართულებით: ხმის იზოლაცია, შიდა აკუსტიკა, ვიბროიზოლაცია. საპროექტო სამუშაოების დროს გაანგარიშებები და მოდელირება ტარდება ლიცენზირებულ აკუსტიკურ პროგრამებში:

- Odeon Auditorium (ISO 3382-part 1, 2, 3; ISO 14257; IEC 60268-16);
- INSUL (EN 12354-1:2000; EN 12354-3; ISO 717; ANSI S3.5; ISO 140-18; ISO 717-2);
- Cadna A Industry (ISO 9613; CNOSSOS-EU);
- EASE Standard, EASE Focus - გახმოვანების სისტემების მოდელირების პროგრამა (ISO 3382);
- ArrayCalc - გახმოვანების სისტემების მოდელირების პროგრამა;



პროექტირების პროცესში კომპანიას აქვს შესაძლებლობა მოახდინოს არქიტექტურულ პროგრამებთან მარტივი ინტეგრაცია - AutoCAD, Revit, ArchiCAD, SketchUp. აღნიშნული ამარტივებს არქიტექტურულ საპროექტო გუნდთან კომუნიკაციას, ნახაზების თუ კვანძების სწრაფ და მარტივ გაზიარებას. საბოლოო ჯამში ამას მივყავართ მთლიანი საპროექტო პროცესების ხარისხის გაზრდასა და სამუშაო დროის ოპტიმიზაციისკენ.

კომპანია „აკუსტიკო“ აკუსტიკურ აზომვით სამუშაოებს აწარმოებს პროფესიული და სერთიფიცირებული საზომი ხელსაწყოთი NTI Audio XL2, Microphone M2230 (Class 1) და იმპაქტური ბგერის სიმულატორით Norsonic Nor277-ით. აზომვითი სამუშაოები მუშავდება პროგრამებში NTI Audio Data Explorer და NTI Audio Sound Insulation Reporter, რისი მეშვეობითაც სიღრმისეული ანალიზი უკეთდება აზომვების შედეგად მიღებულ შედეგებს;



ხმის იზოლაციის აზომვითი სამუშაოები წარმოებს შემდეგი სტანდარტების შესაბამისად:

- ✓ ISO 140-4:1998 Acoustics. Measurement of sound insulation in buildings and of building elements. Field measurements of airborne sound insulation between rooms.
- ✓ ISO 140-7:1998 Acoustics. Measurement of sound insulation in buildings and of building elements. Field measurements of impact sound insulation of floors.

აზომვების შედეგად მიღებული შედეგების შეწონვა ხორციელდება შემდეგი სტანდარტების შესაბამისად:

- ✓ ISO 717-1:1997 Acoustics. Rating of sound insulation in buildings and of building elements. Airborne sound insulation.
- ✓ ISO 717-2:1997 Acoustics. Rating of sound insulation in buildings and of building elements. Impact sound insulation.

## კონფერენციები და ტრენინგები:

1. თბილისის რეგიონალური და საერთაშორისო აკუსტიკური კონფერენცია Saint-Gobain Sustainable Habitat Strategy 2016 (თანაორგანიზატორი, კონფერენციის მასპინძელი);
2. სემინარები თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტებთან (ორგანიზატორი);
3. სემინარები თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტებთან (ორგანიზატორი);
4. ჰამბურგის საერთაშორისო აკუსტიკოსური კონფერენცია AUDITORIUM ACOUSTICS 2018 (Institute Of Acoustics, UK - მონაწილე);
5. Training in UK for Certificate of Competence in Building Acoustics Measurements;
6. Акустический инженерный форум (Acoustic Group, Moscow - მონაწილე);

**მიმდინარე პროექტები/ობიექტები:**

1. **Axis Towers** - საკონფერენციო დარბაზის და მთავარი შეხვედრების ოთახების აკუსტიკური საკონსულტაციო მომსახურება და შიდა აკუსტიკური სამუშაოები;
2. **Holiday Inn Expre & Ameri Apartments (Ameri Development LLC / CMC)** – ხმის იზოლაციის და აკუსტიკის საპროექტო-საკონსულტაციო მომსახურება (**Postponed**);
3. **KNG Wellness** - დახურული საცურაო აუზის ფონური განმოვანება;
4. **არქი ჯგუფის ახალი სათაო ოფისი** - საოფისე სივრცეების აკუსტიკის, ხმის იზოლაციის და ვიბროიზოლაციის საპროექტო-საკონსულტაციო მომსახურება;
5. **Crown Plaza Tbilisi** - სასტუმროს აკუსტიკის, ხმის და ვიბრო იზოლაციის საპროექტო-საკონსულტაციო მომსახურება;
6. **Alliance Privilege** - შენობის სრული აკუსტიკის საპროექტო სამუშაოები (სასტუმრო, აპარტამენტები, საკონფერენციო სივრცეები, SPA, GYM და სხვა საზოგადოებრივი სივრცეების ხმის იზოლაცია, ვიბროიზოლაცია და აკუსტიკა);
7. **საოფისე ტექნოლოგიები (Steel Case)** – „გალერეა 2“ პროექტის ფარგლებში საოფისე სივრცეებში აკუსტიკური სპრეის სამონტაჟო სამუშაოები;
8. **ჰაიდელბერგემენტ ჯორჯია** - კასპის საწარმო ხმაურის კვლევითი სამუშაოები, ხმაურის რუქის შედგენა, ხმის იზოლაციის 3D პროექტირება;
9. **Holiday Inn Express (Meppers)** - აკუსტიკური კონსულტაციები სასტუმროს ხმის იზოლაციის, ვიბროიზოლაციის და შიდა აკუსტიკის მიმართულებით;
10. **UNDP Georgia** - Unified Service Center Acoustic Treatment Works for Rustavi Branch;

**შესრულებული პროექტები/ობიექტები:**

1. **ბიზნეს საკონსულტაციო ოფისი არაყიშვილის ქუჩა #8-ში** - იმპაქტური ბგერის იზოლაციის აზომვით სამუშაოები, ანალიზი და დასკვნის მომზადება;
2. **Georgian Real Estate (m2)** - ნუცუბიძის ქუჩა #82-ში მდებარე საცხოვრებელი კომპლექსის გენერატორის ხმაურის აზომვით სამუშაოები, ანალიზი და დასკვნის მომზადება;
3. **Silknet** - აღმასრულებელი დირექტორის სამუშაო კაბინეტის ხმის იზოლაციის და აკუსტიკის საპროექტო სამუშაოები;
4. **Batumi Riviera (Silk Road Business Center)** - სასტუმროს ხმის იზოლაციის და აკუსტიკის საპროექტო-საკონსულტაციო მომსახურება;
5. **არქი თამარაშვილი** - ტექნიკურ სართულზე ჩილერების ხმის იზოლაციის და ვიბროიზოლაციის საპროექტო მომსახურება;
6. **რუსთავი მოლი** - სახურავზე განსათავსებელი საინჟინრო აგრეგატების ხმის იზოლაციის და ვიბროიზოლაციის საპროექტო სამუშაოები;
7. **Georgian Real Estate (m2)** - კარტოზიას #10-ში მდებარე საცხოვრებელი კომპლექსის პარკინგზე საინჟინრო სისტემების ხმის იზოლაციის და ვიბროიზოლაციის სამუშაოები;
8. **Goethe Institute Georgia** - მულტიფუნქციური დარბაზის აკუსტიკური დიზაინის შემუშავება და სარეაბილიტაციო სამუშაოები, განმოვანების სისტემის სამონტაჟო სამუშაოები;
9. **NINCLP Engineering Idea** - ქ. თბილისში, ჩუბინაშვილის ქუჩა #49-ში მდებარე ისტორიული შენობის რეკონსტრუქციის პროექტის ფარგლებში ადმინისტრაციული და სამუსიკო სივრცეების, ასევე სარეპეტიციო და საკონცერტო დარბაზების ხმის იზოლაციის საპროექტო-საკონსულტაციო მომსახურება;
10. **Nutrimax** - საწარმოო ხმაურის აზომვითი სამუშაოები, ანალიზი და რეკომენდაციები;
11. **აბასთუმნის ობსერვატორია** - აუდიო და საკონფერენციო სისტემების მიწოდება და მონტაჟი;
12. **მცხეთის მუზეუმი** - გარე საინჟინრო მოწყობილობების ხმაურის აზომვები, 3D აკუსტიკური მოდელირება და ხმის საიზოლაციო პროექტის მომზადება;
13. **გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო დრამატული თეატრი** - სასცენო მექანიზაციის რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები;

14. **Gergeti Residence** - მრავალბინიანი კომპლექსის აკუსტიკის, ხმის იზოლაციის და ვიბროიზოლაციის საპროექტო-საკონსულტაციო მომსახურება;
15. **Axis Towers** - ჩილერების კომპრესორების ხმის საიზოლაციო სამუშაოები;
16. **TBC Concept (სს თიბისი ბანკი)** - მარჯანიშვილის სათაო ოფისის საკონფერენციო დარბაზის და ბიბლიოთეკის აკუსტიკური სარეაბილიტაციო სამუშაოები;
17. **TGL Group** - კაბინეტების და შეხვედრების ოთახის აკუსტიკური სარეაბილიტაციო სამუშაოები;
18. **სსიპ ცხინვალის სახელმწიფო დრამატული თეატრი** - მთავარი დარბაზის და სარეპეტიციო დარბაზების აკუსტიკის საპროექტო სამუშაოები. მთავარი დარბაზის სასცენო გახმვანების და განათების სისტემის, სასცენო მექანიზაციის საპროექტო სამუშაოები;
19. **Domson's Engineering, City Mall** - AHU მოწყობილობის ხმის იზოლაციის სამუშაოები;
20. **მულტიფუნქციური ინოვაციური ცენტრი** - აკუსტიკის და ხმის იზოლაციის საპროექტო-საკონსულტაციო მომსახურება. საკონფერენციო სივრცეების გახმვანების და განათების, ასევე საკონფერენციო სისტემების პროექტირება;
21. **Carrefour** - აბაშიძის ფილიალში კონდიციონერების გარე ბლოკების ხმის საიზოლაციო სამუშაოები;
22. **Silknet** - გოთუას ქუჩაზე სათაო ოფისში ბუტალტერიის სამუშაო სივრცის აკუსტიკური აზომვითი სამუშაოები და რეკომენდაციები;
23. **Meppers** - სასტუმრო Ramada-ს ნომრებში გათბობა-ვენტილაციის ფონური ხმაურის აზომვითი სამუშაოები;
24. **m2** - მელიქიშვილის ბიზნეს ცენტრის ტექნიკურ ტერასაზე ჩილერის ხმაურის აზომვითი სამუშაოები;
25. **Euronews Georgia** - სტუდიის აკუსტიკური და ხმის საიზოლაციო სამუშაოები;
26. **Deloitte Georgia** - საკონფერენციო ოთახის აკუსტიკური სამუშაოები;
27. **Tride Group** - ვ. სალარიძის სახელობის საკონცერტო დარბაზის ხმის საიზოლაციო და შიდა აკუსტიკური სამუშაოები, სასცენო განათების და გახმვანების სისტემების სამონტაჟო სამუშაოები;
28. **სსიპ მესხეთის დრამატული თეატრი** - დარბაზის და ხმის ჩამწერი სტუდიის აკუსტიკის და ხმის იზოლაციის პროექტირება, მთავარი დარბაზის ტექნოლოგიური ნაწილის პროექტირება (გახმვანება, განათება, სასცენო მექანიზაცია, პროექცია);
29. **სსიპ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი** - დარბაზის ხმის საიზოლაციო და შიდა აკუსტიკური სამუშაოები;
30. **სსიპ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი** - დარბაზის გახმვანების სისტემის და ხმის ჩამწერი სტუდიის სამუშაოები;
31. **საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი** - კინო დარბაზის შიდა აკუსტიკური მასალების მიწოდება და კონსულტაცია;
32. **Wendy's ბათუმი** - ჩილერის ხმის საიზოლაციო სამუშაოები;
33. **საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია** - კინო ოთახის შიდა აკუსტიკური სამუშაოები;
34. **შპს "ა1"** - დაბა წაღვერში ბლოკის საწარმოს ხმის იზოლაციის საპროექტო-საკონსულტაციო მომსახურება;
35. **Noble Savage Night Club** - შიდა აკუსტიკის და გახმვანების სისტემების სამონტაჟო სამუშაოები;
36. **Silk TV** - ახალი სატელევიზიო სტუდიის შიდა აკუსტიკური სამუშაოები და კონსულტაცია;
37. **Arvato Georgia** - ოფისის აკუსტიკური სარეაბილიტაციო სამუშაოები;
38. **კავკასიის უნივერსიტეტი** - მთავარი საკონფერენციო დარბაზის აკუსტიკური სარეაბილიტაციო სამუშაოები (II ეტაპი);
39. **არქი ჯგუფის ფილარმონიის შენობაში ახალი გაყიდვების ოფისი** - შიდა აკუსტიკური სამუშაოები;
40. **New Vision University** - ფოიეს აკუსტიკური სარეაბილიტაციო სამუშაოები (I ეტაპი);

41. **PSI Pharmaceutical Company** - ახალი ოფისის აკუსტიკური მასალების მიწოდება და კონსულტაცია;
42. **მაღაზიათა ქსელი „ნიკორა“** - საინჟინრო სისტემების ვიბროსაიზოლაციო სამუშაოების I ეტაპი;
43. **Rooms Hotel Tbilisi** - ტექნიკური საინჟინრო მოწყობილობების ხმაურის კვლევითი სამუშაოები;
44. **Radison Blue Iveria Hotel** - სასტუმრო ნომერში გათბობა-ვენტილაციის შიდა ფონური ხმაურის აზომვითი სამუშაოები;
45. **ტატუ სტუდიო „Lucy“** - აკუსტიკური სამუშაოები, განმვანების სისტემები;
46. **Crystal Bet** - სატელეფონო ცენტრის აკუსტიკური სამუშაოები (II ეტაპი);
47. **Crystal Bet** - სატელეფონო ცენტრის აკუსტიკური სამუშაოები (I ეტაპი);
48. **PWC – King David**-ის ოფისის აკუსტიკური აზომვითი სამუშაოები;
49. **სსიპ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი** - თბილისის მთავარი საკონცერტო დარბაზის ხმის იზოლაციის საპროექტო სამუშაოები;
50. **Alliance Group** - ვიბროსაიზოლაციო მასალების მიწოდება და კონსულტაციები;
51. **Cavea City Mall** - ვიბროსაიზოლაციო მასალების მიწოდება და კონსულტაციები;
52. **ბავარიული ლუდის ეზო** - ფონური განმვანების სისტემის მონტაჟი;
53. **სსიპ მესხეთის დრამატული თეატრი** - ტექნოლოგიური ნაწილის საპროექტო სამუშაოები;
54. **სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი** - თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი დარბაზის შიდა აკუსტიკური სამუშაოები;
55. **სს თიბისი ბანკი** - კორპორატიული ფლიგელის შიდა აკუსტიკური სარეაბილიტაციო სამუშაოები;
56. **ევექსის სამედიცინო კორპორაცია** - სიმენსის ლაბორატორიის აკუსტიკური სამუშაოები;
57. **იუსტიციის სახლი** - ქოლ-ცენტრის შიდა აკუსტიკური სარეაბილიტაციო სამუშაოები;
58. **სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი** - თბილისის საქალაქო სასამართლოს მთავარი დარბაზის შიდა აკუსტიკური სამუშაოები, განმვანების სისტემის სამონტაჟო სამუშაოები;
59. **King David** - Event Hall-ის ხმის საიზოლაციო, შიდა აკუსტიკის და განმვანების სისტემის საპროექტო მომსახურება;
60. **სს საქართველოს ბანკი** - ქოლ-ცენტრის შიდა აკუსტიკური სარეაბილიტაციო სამუშაოები (I ეტაპი);
61. **სსიპ ეროვნული არქივის კინო დარბაზი** - შიდა აკუსტიკური სამუშაოები;
62. **კავკასიის უნივერსიტეტი** - მთავარი საკონფერენციო დარბაზის აკუსტიკური სარეაბილიტაციო სამუშაოები (I ეტაპი);
63. **Radison Tsinandali Collection** - სასტუმროს შიდა აკუსტიკური აზომვები და დასკვნის მომზადება;
64. **RMG Gold** - ბოლნისის მუზეუმის საკონცერტო დარბაზში აკუსტიკური აზომვითი სამუშაოები და დასკვნის მომზადება;
65. **Sheraton Metekhi Palace** - სასტუმროს ტერიტორიაზე მდებარე ჩილერების ხმაურის აზომვითი სამუშაოები და დასკვნის მომზადება;
66. **სასტუმრო „გორგასალი“** - აუდიო სისტემის მონტაჟი;
67. **საზოგადოებრივი მაუწყებელი** - ხმის იზოლაციის და შიდა აკუსტიკის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები;
68. **Red-Co** - გუდაურში განმვანების სისტემის სამონტაჟო სამუშაოები (საბილიარდო, რესტორანი, SPA);
69. **სს თიბისი ბანკი** - სატელეფონო ცენტრის შიდა აკუსტიკური სარეაბილიტაციო სამუშაოები (I & II ფაზა);
70. **Creative Impressions Caucasus** - Republic-ის პროექტის ფარგლებში აკუსტიკური მასალების მიწოდება;
71. **სსიპ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის ცენტრის დარბაზი** - შიდა აკუსტიკური სამუშაოები;

72. Silk TV - საკომენტატორო ჯიხურების, ხმის ჩამწერი ჯიხურების და სატელევიზიო სტუდიის ხმის საიზოლაციო და შიდა აკუსტიკური სამუშაოები;
73. სს თიბისი ბანკი - სატელეფონო ცენტრის შიდა აკუსტიკის საპროექტო სამუშაოები;
74. Silk Road Business Center - აკუსტიკური საკონსულტაციო მომსახურება, რესპუბლიკის მოედნის და მიმდებარე ტერიტორიაზე გარე ხმაურის აზომვითი სამუშაოები და აკუსტიკური კვლევები (სასტუმრო ტელეგრაფის ფასადის ხმის იზოლაციის კვლევების მიმართულებით);
75. Gudauri Ski Resort სათაო ოფისი - შიდა აკუსტიკური სამუშაოები;
76. კაფე-ბარი „პავლიონი“ - შიდა აკუსტიკური სამუშაოები;
77. სსიპ ახალციხის სახელმწიფო თოჯინების თეატრი - ტექნოლოგიური ნაწილის საპროექტო სამუშაოები;
78. ბიზნეს სახლი - აკუსტიკის და ხმის იზოლაციის საპროექტო სამუშაოები;
79. ქ. გორის საფეხბურთო სტადიონი - სტადიონის განმოვანება;
80. სამედიცინო კორპორაცია ევექსი - ჩილერის ხმის საიზოლაციო სამუშაოები V კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე;
81. სსიპ #64 საჯარო სკოლა - ექსპერიმენტული საკლასო ოთახის შიდა აკუსტიკური საპროექტო სამუშაოები და აკუსტიკური მასალების მიწოდება;
82. BDO Georgia - მთავარი შენვედრების ოთახის შიდა აკუსტიკური სამუშაოები;
83. სსიპ 112, რუსთავის სატელეფონო ცენტრი - შიდა აკუსტიკური სამუშაოები;
84. სამედიცინო კორპორაცია ევექსი - ჩილერის ხმის საიზოლაციო სამუშაოები ქავთარაძის ამბულატორიული ცენტრის ტერიტორიაზე;
85. სსიპ თბილისის სახელმწიფო თოჯინების თეატრი - შიდა აკუსტიკის საპროექტო სამუშაოები, ტექნოლოგიური ნაწილის საპროექტო სამუშაოები;
86. გურჯაანის რაიონის საექტო დარბაზი (სოფელი ბაკურციხე) - შიდა აკუსტიკური სამუშაოები;
87. Iberia TV - აკუსტიკური აზომვით სამუშაოები და საკონსულტაციო მომსახურება;
88. გაგუას კლინიკა - აკუსტიკური საკონსულტაციო მომსახურება და აკუსტიკური მასალების მიწოდება;
89. პირველი ექსპერიმენტული სკოლის საექტო დარბაზი - შიდა აკუსტიკური დიზაინი და აკუსტიკური მასალების მიწოდება;

ჩვენი პარტნიორი კომპანიები იზოლაცია/აკუსტიკის მიმართულებით:



ჩვენი პარტნიორი კომპანიები გახმოვანება, განათება და სასცენო მექანიზაციის მიმართულებით:



პატივისცემით,

ავთანდილ კრავეიშვილი  
წამყვანი აკუსტიკის კონსულტანტი,  
დამფუძნებელი, დირექტორი

Technical Member of IOA (Institute Of Acoustics)  
Member of ASA (Acoustical Society of America)

Tbilisi, Georgia, Sh. Nutsubidze street #93, 0186  
Mob.: (+995) 598 744 233



Acoustic and Noise Measurements, Acoustic Consulting & Projecting  
Indoor/Outdoor Sound Insulation, Acoustic Treatment  
Sound, Light and Stage Technologies